ელკანა
ELKANA

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა"

წესდება

ახალი რედაქციით

თბილისი
22 ივნისი 2023

ბიომშვენიერი ცხოვრებისათვის!
ორგანული პროდუქტი. სოფლის მრავალფეროვნება.

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას" წესდება

მუხლი I. ზოგადი დებულებები

1. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა" (შემდგომში - „ასოციაცია") წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
2. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი - 201950898) პირველი რეგისტრაცია განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 1994 წლის 6 ოქტომბრის # 17/26 დადგენილებით.
3. ასოციაციას უფლება აქვს თავისი სახელით დადოს გარიგებები, შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, შეუძლია იყოს პროცესის მონაწილე სასამართლოში, არბიტრაჟსა და მედიაციაში.
4. ასოციაციას შეუძლია დაიცვას და წარმოადგინოს თავისი კანონიერი ინტერესები ადმინისტრაციულ ორგანოებში, სახელმწიფო, ადგილობრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.
5. ასოციაცია ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესდებით.
6. ასოციაციას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, შეუძლია გახსნას საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები. მას აქვს ლოგო, სლოგანი, ბეჭედი თავისი დასახელებით, შტამპები, ბლანკები და შიდა დოკუმენტაციის წარმოების დამტკიცებული ფორმები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
7. ასოციაცია, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.
8. ასოციაციის იურიდიული და ფიზიკური (ფაქტობრივი) მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, 0186, გაზაფხულის ქ. # 61.
9. ასოციაციის ოფიციალური ელექტრონული ფოსტაა: biofarm@elkana.org.ge
10. ასოციაცია შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.
11. ასოციაცია მისი დამფუძნებლების, წევრების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. ასოციაციის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. ასოციაციის ვალდებულებებისათვის მისი დამფუძნებლები, წევრები, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს ასოციაცია მისი დამფუძნებლების, წევრების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.
12. ასოციაცია უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს ასოციაციის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ასოციაციის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.
13. ასოციაციის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება ასოციაციის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

ბიომშვენიერი ცხოვრებისათვის!
ორგანული პროდუქტი. სოფლის მრავალფეროვნება.

14. ასოციაციას თავისი მიზნების მისაღწევად უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა ამ წესდებით გათვალისწინებული.
15. ასოციაცია ვალდებულია საქმიან წერილზე და ვებგვერდზე (არსებობის შემთხვევაში) მიუთითოს შემდეგი მონაცემები:
    ა) საფირმო სახელწოდება;
    ბ) იურიდიული მისამართი;
    გ) საიდენტიფიკაციო ნომერი;
    დ) ასოციაციის ლიკვიდაციის ან გადახდისუუნარობის და მისი რეჟიმების - რეაბილიტაციისა და გაკოტრების, პროცესის განმავლობაში შესაბამისი აღნიშვნა „ლიკვიდაციის პროცესში", „გადახდისუუნარობის პროცესში", „რეაბილიტაციის რეჟიმში" ან „გაკოტრების რეჟიმში";
16. საქმიან წერილზე დასატანი მონაცემების განთავსების ვალდებულება ვრცელდება როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით შედგენილ წერილზე.

<u>მუხლი II. ასოციაციის მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები</u>

1. ასოციაციის მიზანია საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა მდგრადი ფერმერული ბიომეურნეობების განვითარებისა და მოსახლეობის თვითაქტივობის ზრდის გზით.
2. ასოციაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:
    2.1. აგროეკოლოგიური პრაქტიკისა და ბიოწარმოების, როგორც გარემოსათვის უსაფრთხო სასოფლო-სამეურნეო სისტემების, პოპულარიზაცია და დანერგვა;
    2.2. სოფლად ეკონომიკური საქმიანობის გამრავალფეროვნების ხელშეწყობა;
    2.3. მეურნეთა ინტერესების დაცვა;
    2.4. ბიოწარმოების განვითარების ხელშემწყობი საკანონმდებლო და პოლიტიკური გარემოს გაუმჯობესებაზე ზრუნვა;
    2.5. ზრდასრულთა განათლების სისტემის შექმნა ბიოწარმოების დარგში;
    2.6. თანამონაწილეობითი კვლევების დანერგვა ფერმერულ მეურნეობებში;
    2.7. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ენდემური და აბორიგენული გენოფონდის დაცვა და გავრცელება;
    2.8. მეურნეთა კვალიფიციური სამრჩევლო მომსახურება;
    2.9. ბიოპროდუქტების ბაზრის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
    2.10. სოფლის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
    2.11. ასოციაციის მიზნის შესაბამისი, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობა.

<u>მუხლი III. ასოციაციის წევრის სტატუსი</u>

1. ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს 18 წელს მიღწეული საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, აგრეთვე იურიდიული პირი.
2. ასოციაციის წევრი, მისი საქმიანობიდან და უფლებამოსილებიდან გამომდინარე შეიძლება იყოს ასოციაციის ნამდვილი ან ასოცირებული წევრი.
3. ასოციაციის ნამდვილი წევრის სტატუსს გამგეობა ანიჭებს:
    3.1 იმ პირს, რომელიც იზიარებს ასოციაციის მიზნებს, მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში არის ასოციაციის ასოცირებული წევრი და წარმოადგენს ბიოსერტიფიცირებულ და/ან

„ელკანას“ ხარისხის ნიშნის მქონე მეურნეობას/წარმოებას/სოფლის ტურიზმის ობიექტს და სრულად აქვს გადახდილი გამგეობის მიერ ასოცირებული წევრისთვის დადგენილი საწევრო გადასახადი;

3.2 ასოციაციის იდეურ მხარდამჭერ ფიზიკურ პირს, რომელიც იზიარებს ასოციაციის მიზნებს, გაწევრიანებამდე არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში ჩართულია ასოციაციის საქმიანობაში - როგორც დასაქმებული, მოხალისე ან მხარდამჭერი.

4. ასოციაციის ასოცირებული წევრის სტატუსს გამგეობა ანიჭებს იმ პირს, რომელიც იზიარებს ასოციაციის მიზნებს, წარმოადგენს სასოფლო მეურნეობას ან სოფლის ტურიზმის ობიექტს, და სურვილი აქვს გადავიდეს ბიო/აგროეკოლოგიურ წარმოებზე და/ან მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის პროგრამაში/პროექტებში.
5. ასოციაციაში წევრად მიღების და წევრის სტატუსის განსაზღვრის საკითხს წყვეტს ასოციაციის გამგეობა, მსურველის წერილობითი განცხადების საფუძველზე, განცხადების მიღებიდან უახლოეს სხდომაზე.
6. ასოციაციის ნამდვილი წევრობის მსურველის განცხადებას თან უნდა ახლდეს:
   6.1. განმცხადებლის სამოტივაციო წერილი;
   6.2. ასოციაციის მოქმედი ნამდვილი წევრის რეკომენდაცია;
   6.3. მისი მეურნეობის/წარმოების ბიოსერტიფიკატი და/ან „ელკანას“ ხარისხის ნიშანი (მეურნეობის/წარმოების/სოფლის ტურიზმის ობიექტის არსებობის შემთხვევაში);
   6.4. პირადობის მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში) ან ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
7. ასოციაციის ასოცირებული წევრობის მსურველის განცხადებას თან უნდა ახლდეს:
   7.1. განმცხადებლის სამოტივაციო წერილი;
   7.2. კონსულტანტის რეკომენდაცია განმცხადებლის მეურნეობის/საქმიანობის შესახებ;
   7.3. პირადობის მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში) ან ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
8. ასოციაციის ნამდვილ წევრს უფლება აქვს:
   8.1. თანასწორი უფლებით მონაწილეობდეს ასოციაციის ნამდვილ წევრთა საერთო კრების მუშაობაში;
   8.2. არჩეულ იქნეს ასოციაციის გამგეობაში ან ხელშეკრულების საფუძველზე იმუშაოს ასოციაციაში;
   8.3. დაასახელოს საკუთარი თავი ან სხვა პირი ასოციაციის გამგეობის წევრობის კანდიდატად (კანდიდატად დასახელება ხდება ასოციაციის ნამდვილ წევრთა საერთო კრებამდე 1 კვირით ადრე მაინც, ასოციაციის გამგეობაში სამოტივაციო წერილისა და ბიოგრაფიის გაგზავნით);
   8.4. მიიღოს ასოციაციის პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურება;
   8.5. მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის მიერ მოწყობილ ყველა საჯარო ღონისძიებაში.
9. ასოციაციის ნამდვილი წევრი ვალდებულია:
   9.1. დროულად გადაიხადოს გამგეობის მიერ დადგენილი საწევრო გადასახადი;
   9.2. დაიცვას ასოციაციის წესდების მოთხოვნები, ხოლო მეურნეობის წარმოებისას - შეინარჩუნოს მეურნეობის ბიოსტატუსი და/ან „ელკანას“ ხარისხის ნიშანი;
   9.3. გაუფრთხილდეს ასოციაციის რეპუტაციას.
10. ასოციაციის ნამდვილი წევრის უფლებამოსილება წყდება ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით:

10.1. თუ ნამდვილი წევრის საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს;
10.2. თუ ნამდვილი წევრი ზიანს აყენებს ასოციაციის რეპუტაციას;
10.3. თუ ნამდვილი წევრის მეურნეობას/წარმოებას ჩამოერთვა ბიოსტატუსი და/ან „ელკანას" ხარისხის ნიშანი (მეურნეობის/წარმოების/სოფლის ტურიზმის ობიექტის არსებობის შემთხვევაში);
10.4. თუ ნამდვილი წევრი გაფრთხილების მიუხედავად, არ იხდის გამგეობის მიერ დადგენილ საწევრო გადასახადს;
10.5. ნამდვილი წევრის განცხადების საფუძველზე;
10.6. სასამართლოს მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, რომელიც შეუძლებელს ხდის ნამდვილი წევრის სტატუსის შენარჩუნებას;
10.7. ფიზიკური პირის გარდაცვალების ან იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში.

11. ასოციაციის ასოცირებულ წევრს უფლება აქვს:
11.1. ხელშეკრულების საფუძველზე იმუშაოს ასოციაციაში;
11.2. მიიღოს ასოციაციის პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურება;
11.3. მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის მიერ მოწყობილ ყველა საჯარო ღონისძიებაში.

12. ასოციაციის ასოცირებული წევრი ვალდებულია:
12.1. დროულად გადაიხადოს გამგეობის მიერ დადგენილი საწევრო გადასახადი;
12.2. დაიცვას ასოციაციის წესდების მოთხოვნები, ხოლო მეურნეობის წარმოებისას ბიო/აგროეკოლოგიური წარმოების პრინციპები;
12.3. გაუფრთხილდეს ასოციაციის რეპუტაციას.

13. ასოციაციის ასოცირებული წევრის უფლებამოსილება წყდება ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით:
13.1. თუ ასოცირებული წევრის საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს;
13.2. თუ ასოცირებული წევრი ზიანს აყენებს ასოციაციის რეპუტაციას;
13.3. თუ ასოცირებული წევრი, გაფრთხილების მიუხედავად, არ იხდის გამგეობის მიერ დადგენილ საწევრო გადასახადს;
13.4. ასოცირებული წევრის განცხადების საფუძველზე;
13.5. სასამართლოს მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, რომელიც შეუძლებელს ხდის ასოცირებული წევრის სტატუსის შენარჩუნებას;
13.6. ფიზიკური პირის გარდაცვალების ან იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში.

14. წევრობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას გამგეობა იღებს განცხადების ან შესაბამისი ინფორმაციის მიღებიდან უახლოეს სხდომაზე.

მუხლი IV. ასოციაციის ნამდვილ წევრთა საერთო კრება

1. ასოციაციის ნამდვილ წევრთა საერთო კრება (შემდგომ ტექსტში – **„საერთო კრება"**). შეიძლება იყოს მორიგი ან რიგგარეშე. მორიგი საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც (წლიური ბალანსის შედგენიდან არაუგვიანეს 6 თვისა), რომელზეც განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები. სხვა შემთხვევებში ტარდება რიგგარეშე საერთო კრება. მორიგი საერთო კრების ჩატარებაზე პასუხისმგებელია ასოციაციის გამგეობა.
2. რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის მოთხოვნის უფლება აქვთ როგორც ასოციაციის ერთ ან რამდენიმე ნამდვილ წევრს, ისე ასოციაციის ხელმძღვანელობასა და

ბიომშვენიერი ცხოვრებისათვის!
ორგანული პროდუქტი. სოფლის მრავალფეროვნება.

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს/პირებს. რიგგარეშე საერთო კრების ჩატარებაზე პასუხისმგებელია ასოციაციის გამგეობა.

3. მორიგი საერთო კრება შეიძლება ჩატარდეს როგორც მონაწილეთა უშუალო დასწრების ფორმით, ასევე დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული, აუდიო ან აუდიო-ვიზუალური საშუალებების გამოყენებით.
4. საერთო კრების, ასევე შესაბამის შემთხვევებში რეგიონული კრებების ჩატარების ფორმაზე (უშუალო ან დისტანციური / ელექტრონული საშუალებებით) გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის გამგეობა.
5. თუ ასოციაციის ნამდვილ წევრთა საერთო რაოდენობა აჭარბებს 150 კაცს, ასოციაციის გამგეობას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ასოციაციის საერთო კრებამდე რეგიონული კრებების გამართვის თაობაზე.
6. ასოციაციის ნამდვილ წევრთა რეგიონული კრება იმართება საერთო კრების მოწვევამდე ორი თვით ადრე მაინც; რეგიონული კრების მონაწილეები აყალიბებენ თავიანთ მოსაზრებას საერთო კრებაზე განსახილველ საკითხებზე და ირჩევენ დელეგატებს, რომლებიც წარმოადგენენ მათ ინტერესებს ასოციაციის წევრთა საერთო კრებაზე. კრებაზე გამოთქმული მოსაზრებები და გადაწყვეტილებები ფიქსირდება ოქმში, რომელსაც ხელს აწერს საერთო კრების თავმჯდომარე.
7. ასოციაციის ნამდვილ წევრებს, რომლებიც არ აურჩევიათ რეგიონული კრების დელეგატებად, სურვილის შემთხვევაში, უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საერთო კრების მუშაობაში.
8. ნამდვილი წევრი, რომელიც რეგიონალ კრებაზე აირჩიეს დელეგატედ, ყრილობაზე შეიძლება წარმოადგენდეს ასოციაციის არა უმეტეს 5 ნამდვილ წევრს, საკუთარი თავის ჩათვლით.
9. ასოციაციის გამგეობა მორიგი საერთო კრების ჩატარების ადგილის, თარიღისა და დღისწესრიგის შესახებ ყველა ნამდვილ წევრს წერილობით ან ელექტრონული ფორმით აცნობებს კრებამდე 14 დღით ადრე მაინც.
10. ნამდვილ წევრს აქვს უფლება საერთო კრებაზე მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში მოითხოვოს დღის წესრიგში დამატებების შეტანა.
11. რიგგარეშე საერთო კრების მომწვევი ვალდებულია ასოციაციის რიგგარეშე საერთო კრება მოიწვიოს ასოციაციის გამგეობის მეშვეობით, მორიგი საერთო კრების მოწვევისათვის ამ წესდებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.
12. ასოციაციის საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს შემდეგ საკითხებზე:
    12.1. ასოციაციის წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;
    12.2. გამგეობის წევრთა არჩევა;
    12.3. ასოციაციის მიერ ჩატარებული სამუშაოსა და გამგეობის ანგარიშების მოსმენა;
    12.4. ასოციაციის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა;
    12.5. ასოციაციის მიზნის შეცვლა;
    12.6. ასოციაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.
13. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ნამდვილ წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კრებაზე გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ განსახილველ საკითხს მხარს დაუჭერს დამსწრე ნამდვილ წევრთა ნახევარზე მეტი, გარდა ისეთი გადაწყვეტილებებისა, რომლებსაც ამ მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით სჭირდება კვალიფიციური უმრავლესობა.

ბიომშვენიერი ცხოვრებისათვის!
ორგანული პროდუქტი. სოფლის მრავალფეროვნება.

14. თუ საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის, კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მასზე დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად. გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით, გარდა ისეთი გადაწყვეტილებებისა, რომლებსაც ამ მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით სჭირდება კვალიფიციური უმრავლესობა.
15. ამ მუხლის მე-12 პუნქტის 12.1, 12.3 და 12.4 ქვეპუნქტებში მითითებული გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე ნამდვილ წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით; 12.2 ქვეპუნქტში მითითებული გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, ხოლო გამგეობის წევრებად აირჩევა ის 9 კანდიდატი, რომლებიც სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას მიიღებენ; კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში, თუ მათი რაოდენობა აღემატება ასარჩევ წევრთა რაოდენობას, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა; 12.5 და 12.6 ქვეპუნტქებში მითითებული გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე ნამდვილ წევრთა ხმების ოთხი მეხუთედით.
16. თუ საერთო კრებას ყველა ნამდვილი წევრი ესწრება და, ისინი თანახმა არიან საერთო კრების ჩატარებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე, საერთო კრების ჩატარება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ საერთო კრების მოწვევის კანონით ან/და ამ წესდებით დადგენილი წესები არ იქნა დაცული. ნამდვილი წევრის თანხმობად მიიჩნევა, თუ იგი არ მოითხოვს საერთო კრების სხვა დროს ჩატარებას მისი მოწვევის პროცედურის დარღვევის გამო.
17. საერთო კრების თავმჯდომარის არჩევამდე ან იმ შემთხვევაში, თუ საერთო კრების თავმჯდომარე არ იქნა არჩეული, კრებას თავმჯდომარეობს მისი მომწვევი პირი ან გამგეობის თავმჯდომარე.
18. საერთო კრება ირჩევს საერთო კრების თავმჯდომარეს კრებაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. საერთო კრების მიმდინარეობას ხელმძღვანელობს, ოქმს ადგენს და ხელს აწერს საერთო კრების თავმჯდომარე, ხოლო ამ მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – შესაბამისი პირი.
19. საერთო კრების/მორიგი საერთო კრების მოწვევის, მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ ამ კრების დასრულებიდან 15 დღის ვადაში დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საერთო კრების მიერ არჩეული ან ამ მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული საერთო კრების თავმჯდომარე.
20. საერთო კრების ოქმში უნდა აღინიშნოს:
   ა) ასოციაციის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი;
   ბ) საერთო კრების ჩატარების ადგილი, თარიღი და დრო;
   გ) მითითება საერთო კრების მოწვევის პროცედურის დაცვასა და ამ კრების გადაწყვეტილებაუნარიანობაზე;
   დ) კრებაზე დამსწრე ნამდვილ წევრთა და მოწვეული პირების (არსებობის შემთხვევაში) ვინაობა და საიდენტიფიკაციო მონაცემები;
   ე) საერთო კრების თავმჯდომარის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
   ვ) საერთო კრების დღის წესრიგი;
   ზ) საერთო კრების გადაწყვეტილება კენჭისყრის შედეგების მითითებით;
   თ) საერთო კრების მონაწილის განსხვავებული აზრი, თუ მონაწილე მოითხოვს მისი აზრის ოქმში დაფიქსირებას.

ბიომშვენიერი ცხოვრებისათვის!
ორგანული პროდუქტი. სოფლის მრავალფეროვნება.

მუხლი V. ასოციაციის გამგეობა

1. ასოციაციის გამგეობა არის ასოციაციის ნამდვილ წევრთა საერთო კრების მიერ დადგენილი პრიორიტეტების მიხედვით, სტრატეგიის განსაზღვრისა და დირექტორის (ხელმძღვანელი ორგანოს) საქმიანობის მხარდაჭერისა და კონტროლის განხორციელების მიზნით შექმნილი ორგანო, რომელიც ამ წესდებით განსაზღვრულ საქმიანობას ახორციელებს გამგეობის სხდომაზე.
2. გამგეობა შედგება 9 წევრისაგან, რომელთაგან 6 არის ასოციაციის ნამდვილი წევრი, ხოლო 3 მოწვეული სპეციალისტი. გამგეობას ირჩევს ასოციაციის საერთო კრება 3 წლის ვადით.
3. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება დასახელდეს გამგეობის წევრობის კანდიდატად ზედიზედ ორ ვადაზე მეტჯერ.
4. გამგეობის წევრები თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ გამგეობის თავმჯდომარეს ხმათა 2/3-ით.
5. გამგეობის წევრს არ შეიძლება ეკავოს ასოციაცის საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობა.
6. ასოციაციის გამგეობა:
   6.1. ამტკიცებს ასოციაციის სტრატეგიასა და სამოქმედო პროგრამას;
   6.2. ამტკიცებს ასოციაციის სტანდარტებს და საოპერაციო სახელმძღვანელოებს;
   6.3. დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს ასოციაციის სამოქმედო გეგმებს, ფინანსურ და პროგრამულ ანგარიშებს;
   6.4. დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს ასოციაციის ორგანიზაციულ სტრუქტურას და საშტატო განრიგს;
   6.5. დირექტორის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებებს საწარმოების, არასამეწარმეო იურიდიული პირების დაფუძნების, მათი წილების შეძენის, ასევე ასოციაციის ფილიალებისა და წარმომადგენლობების შექმნის შესახებ და ამტკიცებს მათ წესდებებსა და დებულებებს;
   6.6. განსაზღვრავს ასოციაციის უძრავი და მოძრავი ქონების განკარგვაზე უფლებამოსილ პირებს და ამ უფლებამოსილების ფარგლებს;
   6.7. ნიშნავს ასოციაციის დირექტორს და ათავისუფლებს მას, დებს და წყვეტს მასთან სასამსახურო ხელშეკრულებას;
   6.8. იღებს გადაწყვეტილებას საწევრო გადასახადის დადგენისა და მისი ოდენობის განსაზღვრის თაობაზე;
   6.9. წყვეტს ყველა იმ საკითხს, რომელიც ამ წესდებით სხვა ორგანოთა კომპეტენციას არ განეკუთვნება.
7. გამგეობას ხელმძღვანელობს გამგეობის თავმჯდომარე. გამგეობის თავმჯდომარე წარმოადგენს ასოციაციას ამ მუხლის 6.7 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ურთიერთობებში.
8. გამგეობის თავმჯდომარის გადადგომის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს გამგეობის ერთ-ერთი წევრი - თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, რომელსაც გამგეობის წევრთა რიგებიდან ირჩევს გამგეობა ხმათა უბრალო უმრავლესობით.

ბიომშვენიერი ცხოვრებისათვის!
ორგანული პროდუქტი. სოფლის მრავალფეროვნება.

9. გამგეობის სხდომები იმართება წელიწადში 2-ჯერ მაინც. სხდომებს იწვევს გამგეობის თავმჯდომარე, ხოლო მის მიერ მოვალეობების შესრულების შეუძლებლობის ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, გამგეობის თავმჯდომარის უფლებამოსილების შემსრულებელი, მის არჩევამდე კი - გამგეობის უხუცესი წევრი. გამგეობის რიგგარეშე სხდომას იწვევენ გამგეობის თავმჯდომარის ინიციატივით, ან დირექტორის რეკომენდაციით. რიგგარეშე სხდომა ასევე შეიძლება მოწვეულ იქნეს გამგეობის წევრთა ორი მესამედის წერილობითი მოთხოვნით.
10. გამგეობა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.
11. გადაწყვეტილება გამგეობის სხდომაზე მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით.
12. გამგეობის უფლებამოსილება გრძელდება დადგენილი ვადის გასვლის შემდეგაც, ახალი გამგეობის არჩევამდე.
13. გამგეობა ანგარიშვალდებულია ასოციაციის საერთო კრების წინაშე.
14. გამგეობის მიერ ჩატარებული თითოეული სხდომის შემდეგ დგება ოქმი, რომელზეც აუცილებელია სხდომის თავმჯდომარის ხელმოწერა.
15. გამგეობა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გამგეობის წევრის (წევრთა) სხდომაში ელექტრონული, აუდიო ან აუდიო-ვიზუალური საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით მონაწილეობის შესახებ.

<u>მუხლი VI დირექტორი</u>

1. ასოციაციის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება დირექტორს 3 წლის ვადით, ხელახლა დანიშვნის უფლებით. თუ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კანონით დადგენილი წესით არ განხორციელდება მისი უფლებამოსილების ახალი ვადის ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების რეგისტრაცია, რეგისტრირებული დირექტორის უფლებამოსილება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად მიიჩნევა.
2. დირექტორი ორგანიზებას უწევს ასოციაციის ნამდვილ წევრთა საერთო კრებისა და გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას და წყვეტს ასოციაციის საქმიანობიდან გამომდინარე ყველა სხვა საკითხს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.
3. დირექტორი ახორციელებს ასოციაციის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების ოპერატიულ მართვას და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე.
4. დირექტორი ხელს აწერს ასოციაციის ოფიციალურ, მათ შორის საფინანსო დოკუმენტებს და გამოსცემს ბრძანებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა ასოციაციის ყველა თანამშრომლისათვის. დირექტორი კოორდინაციას უწევს ასოციაციის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას.
5. დირექტორი მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ასოციაციას მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში, წარმოადგენს ასოციაციის ინტერესებს ყველა პირის წინაშე. იგი მოქმედებს ერთპიროვნულად და მესამე პირთან ურთიერთობაში მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ არის შეზღუდული.
6. დირექტორი პასუხისმგებელია, რომ ასოციაციის საბუღალტრო საქმეები და აღრიცხვა წარმოებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების ნორმების შესაბამისად. დირექტორი ვალდებულია, ათი წლის განმავლობაში შეინახოს ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი.
7. დირექტორი უფლებამოსილია:

ბიომშვენიერი ცხოვრებისათვის!
ორგანული პროდუქტი. სოფლის მრავალფეროვნება.

7.1. გარკვეული დროით გადასცეს თავისი ზოგიერთი ფუნქციის შესრულება სხვა თანამშრომელს;
7.2. დანიშნოს და გაათავისუფლოს ასოციაციის, ფილიალებისა და წარმომადგენლობების თანამშრომლები;
7.3. მიიღოს გადაწყვეტილება ასოციაციის, როგორც სხვა იურიდიული პირის დამფუძნებლის, პარტნიორის, წევრის ან სხვა მონაწილის სახელით;
7.4. დადოს გარიგებები, გასცეს მინდობილობები;
7.5. გახსნას ანგარიშები;
7.6. დაამტკიცოს ასოციაციის სიმბოლოები;
7.7. მიიღოს სხვა გადაწყვეტილებები ასოციაციის მიზნების მისაღწევად.

8. დირექტორი ანგარიშვალდებულია ასოციაციის გამგეობისა და საერთო კრების წინაშე.
9. ასოციაციის ლიკვიდაციის ან გადახდისუუნარობის პირობების დადგომის შემთხვევაში, დირექტორი ვალდებულია იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი VII. ასოციაციის ქონება, სამეურნეო საქმიანობა და პასუხისმგებლობა

1. ასოციაციის ფინანსური სახსრების წარმოქმნის წყაროებია:
   1.1. საწევრო შენატანები;
   1.2. გრანტები, მიზნობრივი პროექტები და პროგრამები;
   1.3. შემოწირულობანი;
   1.4. ეკონომკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი;
   1.5. სხვა წყაროები, რომლებიც არ არის აკრძალული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ წესდებით.
2. ასოციაციის ქონებას შეადგენს ძირითადი საშუალებები, საბრუნავი სახსრები და სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონება.
3. ასოციაციის საქმიანობით მიღებული შემოსავალი და მოგება ასოციაციის წევრთა შორის არ განაწილდება და გამოიყენება მხოლოდ საწესდებო მიზნების მისაღწევად.

მუხლი VIII. ასოციაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. ასოციაციის რეორგანიზაციისა და მისი განხორციელების პროცედურების შესახებ გადაწყვეტილებას, გამგეობის წარდგინებით, იღებს საერთო კრება.
2. ასოციაციის საქმიანობა წყდება ასოციაციის ნამდვილ წევრთა საერთო კრების ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, მისი ლიკვიდაციის გზით.
3. ასოციაციის ლიკვიდაციის დროს ასოციაციის საერთო კრება, ცალკეულ შემთხვევაში კი – სასამართლო, ამტკიცებენ სალიკვიდაციო პროცედურას.
4. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონების მიღების უფლებამოსილება აქვთ:
   4.1. ასოციაციის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო იურიდიული პირებს;
   4.2. მსგავსი მიზნებისა და საქმიანობის მქონე არასამეწარმეო იურიდიულ პირებს.
5. ასოციაციის ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

...ამინისტრო
...ი საბჭოს
..... 202 წ.
.....

ბიომშვენიერი ცხოვრებისათვის!
ორგანული პროდუქტი. სოფლის მრავალფეროვნება.

დაადგინეს:

1. საერთო კრებამ დაამტკიცა საანგარიშო პერიოდის ანგარიში. გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
2. საერთო კრებამ დამტკიცა ა(ა)იპ ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ ახალი წესდება (წესდება დაერთოს ოქმს დანართის სახით). გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
3. დაევალოს ა(ა)იპ ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ დირექტორს მარიამ ჯორჯაძეს (პ/მ 01024014456) კრების მიერ დამტკიცებული წესდების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
4. საერთო კრებამ ერთხმად აირჩია ხმის დამთვლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით: სოფიო ბარბაქაძე (#01017023746) - კომისიის ხელმძღვანელი, ია ებრალიძე (#01031003556), თამარ ნონიაშვილი (#10001058260), მაია ჭოხონელიძე (01017018374), გიორგი შატბერაშვილი (#01030010718), თემურ ბოკუჩავა (#19001063518)
5. საერთო კრებამ კენჭისყრით აირჩია ასოციაციის გამგეობის ახალი შემადგენლობა:

1. **თეო ურუშაძე (90 ხმით)** – პ. # 01025001186; დაბადებული 1969 წლის 31 იანვარს, ქ. თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისში, ბუდაპეშტის ქ. #7, ბ. 55; აგრონომი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სკოლის დეკანი, ტელ.: 599908565; t.urushadze@agruni.edu.ge
2. **ია თაბაგარი (90 ხმით)** - პ. #01017011389; დაბადებული 1967 წლის 8 აპრილს, ქ.თბილისში. მცხოვრები ქ. თბილისში, კახა შევარდენიძის ქ. #1/63. აღმოსავლეთმცოდნე; ტურიზმის და მასპინძლობის ბიზნესის სპეციალისტი; საქართველოს შემომყვან ტურ-ოპერატორთა ასოციაციის თავჯდომარე; აგროტურისტული ობიექტის თანამფლობელი; ტელ.: 599581175; iatabagari@gmail.com;
3. **მამედ ჯაფარლი (90 ხმით)** – პ. #01008001131; დაბადებული 1958 წლის 22 მარტს, ქ. თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. 41, I სად. ბ. #8, ბიოლოგი, დამოუკიდებელი კონსულტანტი სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების დარგში; ტელ.: 599541155; b.jafarli@yahoo.com
4. **ნათია მაჭარაშვილი (72 ხმით)** - პ. # 38001020837; დაბადებული 1988 წლის 25 ოქტომბერს, საჩხერეში, მცხოვრები ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო ალვანში. ტურიზმის ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტი, საოჯახო მარნის „ლაგაზი ვაინერის“ და საცხობ „ლაგაზი ბექერის“ მენეჯერი; ტელ.: 551555207; lagaziwinery@gmail.com;
5. **სოფიკო აბალოიძე (66 ხმით)** - პ. # 08001002942; დაბადებული 1975 წლის 8 დეკემბერს, ქ. ახმეტაში. მცხოვრები ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. ზემო ალვანში. ფილოლოგი, სოფელ ზემო ალვანის N1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ნერგების“ წევრი; ტელ.: 591012375; sophoabaloidze8@gmail.com ;

ინსტიტუციის სამ
ეს ერთეული
ბეჭდი № 2812
ხელმოწერა

6. **ნატალია მამაგულიშვილი (65 ხმით)** – პ. # 45001008359; დაბადებული 1979 წლის 12 დეკემბერს, ქ. რუსთავში. მცხოვრები ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. არგოხში. მისამართი - ქ.რუსთავი, ქაშაკაშვილის ქ.# 8/3. ფერმერი, საქმიანობას ეწევა საკუთარ ფერმერულ მეურნეობაში - ვარდის სახლი; ტელ.: 571777901; gremi.natalia@gmail.com;
7. **ავთანდილ ხუხუნაიშვილი (64 ხმით)** – პ. # 26001000175; დაბადებული 1978 წლის 27 მარტს, ქ. ლანჩხუთში. მცხოვრები ქ. ლანჩხუთი, გორგასლის ქ. #46; ეკონომიკის და ბიზნესის სპეციალისტი; პროფესიონალი მეფუტკრე; შპს „სკა2030-ის" ხელმძღვანელი; ტელ.: 577067821; avtandil.xuxunaishvili38@gmail.com;
8. **ანზორ მაისურაძე (64 ხმით)** – პ. # 57001007759; დაბადებული 1979 წლის 17 აგვისტოს, ხაშურის მუნიციპალიტეტის, სოფ. ნაბახტევში; მცხოვრები ხაშურის მუნიციპალიტეტის, სოფ. ნაბახტევში; ბიოლოგი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის თანამშრომელი, ფერმერი; ტელ.: 555141219; jibaji@gmail.com;
9. **გლახო ხარაიშვილი (63 ხმით)** - პ. # 25001038931; დაბადებული 1990 წლის 14 ოქტომბერს, ქ.ლაგოდეხში. მცხოვრები ლაგოდეხის მუნციპალიეტი, სოფ. ბაისუბანი; ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებული პროდუქტების წარმოების სპეციალისტი, დეკორატიული მებაღეობის აგრონომ-დიზაინერი, ფერმერი. ტელ.: 599060429; glakhokharaishvili@gmail.com;

კრების თავმჯდომარე

ი. დავაძე ....

კრების მდივანი

მ. გიგაური ....

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი № 2812
თარიღი "06" 07 2023 წ.
რეგ.რაოდენობა 3 ხელმოწერა

For BIOtiful Life!

Organic product. Rural diversity.